

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროგრამის სახელწოდება :** რომანული ფილოლოგია (Romance Philology)

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სასპეციალიზაციო მოდულს :

- ფრანგული ენათმეცნიერება French Linguistics
- ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობა French Literary Studies
- იტალიური ფილოლოგია Italien Philology
- ესპანური ფილოლოგია Spanish Philology

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი / იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი / ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი

Master of Arts in French Philology; Master of Arts in Spanish Philology; Master of Arts in Italian Philology

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია/ იტალიური ფილოლოგია/ ესპანური ფილოლოგია

**სწავლების ენა :** ქართული

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** ოთხი სემესტრის მანძილზე სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 20 ECTS კრედიტი - რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო-სავალდებულო დისციპლინები;
- 40 ECTS კრედიტი - მოდულების (ფრანგული ენათმეცნიერება, ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობა, იტალიური ფილოლოგია, ესპანური ფილოლოგია) სავალდებულო დისციპლინები;
- 30 ECTS კრედიტი - რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო არჩევითი დისციპლინები
- 30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

**პროგრამის მიზანი :**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს ფილოლოგ მაგისტრს, რომელსაც შესწავლილი დარგის მიხედვით ეძლევა კვალიფიკაცია და ფილოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნა: ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული რომანისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრს რომანული ფილოლოგიის კვლევებისათვის.

ამასთან, პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც: მაგისტრი შეიძენს თარგმანმცოდნეობით კომპეტენციებსაც; მას შეეძლება მუშაობა თარგმანად, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, აგრეთვე თარგმანის შეფასება და კრიტიკა და სხვ.

ამგვარად, პროგრამის საერთო მიზანია, მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა რომანული ფილოლოგიის დარგში, მოამზადოს ის როგორც რომანისტი, ალტერნატიული იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და სამეცნიერო-კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროებში. სწორედ, ამას ემსახურება სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულები (ფრანგული ენათმეცნიერების მოდული, ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის მოდული, იტალიური ფილოლოგიის მოდული, ესპანური ფილოლოგიის მოდული) და პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული საგნები. ამავდროულად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მათ შეძლონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და/ან სწავლა გააგრძელონ სწავლების მესამე საფეხურზე შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით საქართველოს ან იმ დასავლური უნივერსიტეტების დოქტორანტურაში, სადაც ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის სამაგისტრო პროგრამები და მიმართულებები.

პროგრამის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც მზად არის თანამედროვე, ევროპულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, როგორც შრომით ბაზარზე დასაქმებლად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიერ შეთავაზებული თითოეული მოდულის მიზანია:

**ფრანგული ენათმეცნიერების მოდული.** რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ფრანგული ენათმეცნიერების მოდული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მკვლევარი ლინგვისტების სამეცნიერო სფეროში მომზადებას და დასაქმებას, ხოლო დარგობრივი ენის კურსის საფუძველზე გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულებს პრაქტიკული ენის რეალიზაციის კუთხით დასაქმების საშუალებას მისცემს ისეთ სფეროებში, როგორცაა: საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო ფონდები და ორმხრივი პროექტები, საქართველოში მოქმედი ევროპული ინსტიტუციები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურები.

**ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის მოდული.** მოდულის მიზანია, დარგობრივი კვალიფიკაცია მისცეს მაგისტრანტს ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. მოდული განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ლიტერატურის თეორიით, ლიტერატურის ისტორიით, მხატვრული თარგმანით. ლიტერატურის მოდული ორიენტირებულია ფრანგული ლიტერატურის ფართო ინტერდისციპლინარულ კოტექსტში

განხილვის შესწავლაზე. ლიტერატურასა და ხელოვნების სახვადასხვა დარგს შორის არსებულ კავშირზე.

მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულებს ისეთ სფეროებში დასაქმების საშუალებას მისცემს, როგორცაა: მთარგმნელობითი საქმიანობა (მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, თარგმანის შემფასებელი); კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურები, საგამომცემლო საქმე, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციები, ტურისტული ბიუროები და ა.შ.

**იტალიური ფილოლოგიის მოდული.** მოდულის მიზანია მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა იტალიური ფილოლოგიის სფეროში და გამოუმუშაოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს იტალიური ენის თეორიული, პრაქტიკული საგნებისა და იტალიური ლიტერატურის სწავლებას.

**ესპანური ფილოლოგიის მოდული.** მოდულის მიზანი მაგისტრს გაუღრმავოს ის თეორიული ცოდნა, რომელიც მათ ბაკალავრიატში მიიღეს როგორც ენის, ენის თეორიის, ასევე ლიტერატურის კუთხით. შესძინოს მათ მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები, დაეხმაროს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიების დაუფლებაში: ასწავლოს საკვლევი ობიექტისადმი მეცნიერული მიდგომა, შეუმუშავოს და ჩამოუყალიბოს შეპირისპირებითი ანალიზის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ისინი მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და / ან დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

**სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

- ბაკალავრის ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა
- უცხოური ენის ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით: ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებზე ჩაბარების მსურველებმა უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით.
- გამოცდა სპეცილობაში: ფრანგულ/იტალიურ /ესპანურ ენასა და ლიტერატურაში.

**სწავლების შედეგები :**

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები რომანული ფილოლოგიის დისციპლინებში. დარგს ფლობდეს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას უნდა შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს უნდა ჰქონდეს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო

პროგრამის ერთიანი სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

**ცოდნა-გაცნობიერება:**

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების შესწავლის საფუძველზე აქვს ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ფლობს სათანადო საენათმცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატს და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; შეუძლია რომანული და ქართული ენების შედარებითი ანალიზი; რომანულ ენობრივ სისტემებსა და შესაბამის სოციალურ სტრუქტურებს შორის არსებული ურთიერთმიმართებების დამყარება. ბიბლიასა და ლიტერატურულ ტექსტებს შორის ურთიერთკავშირის მოძიება. ლიტერატურის ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში განხილვა. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა.

რომანული ფილოლოგიის მაგისტრი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (მოდულების შესაბამისად, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენას) და აქვს ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და არჩევის შემთხვევაში იცის მეორე რომანული ენაც. შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის.

**ფრანგული ენათმეცნიერების მოდული:** მაგისტრს აქვს თანამედროვე ლინგვისტური თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა; შეუძლია ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის არსებული ურთიერთმიმართების დამყარება. აქვს ენის ფსიქოლინგვისტური ასპექტების, აგრეთვე ტექსტის ზოგადი ნიშნების და ფუნქციონალური თვისებების სისტემური ცოდნა, ტექსტის ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლის დინამიურობის შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, უნარი ტექსტში რეალიზებული ენობრივი ერთეულების მიერ ახალი მნიშვნელობების და ახალ ფუნქციონალურ დატვირთვის აღქმისა და ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ახალი გზების მოძიებისა. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგული ენის თეორიული ფონეტიკისა და ფონოლოგიის სფეროში. თანამედროვე პრესის ტექსტების შესწავლი საფუძველზე აქვს სხვადასხვა თემატიკის (პოლიტიკური, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება) მყარი ლექსიკური შესიტყვებების და კონსტრუქციების, ფრაზეოლოგიის ცოდნა და შეუძლია მათი სემანტიკური ანალიზი. ბიზნესის გარემოსათვის დამახასიათებელი ადეკვატური და აუცილებელი ბიზნეს კლიშეების, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ტერმინოლოგიური ბაზის ცოდნა და მისი გამოყენება წერილობით თუ ვერბალურ ბიზნეს კომუნიკაციებში.

**ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის მოდული:** თანამედროვე კრიტიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით მაგისტრანტი გაეცნობა უახლეს მეთოდოლოგიური მიღწევებს; ექნება ლიტერატურული ჟანრების, ჟანრების თეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა, შეძლებს მათ გაანალიზებას ტიპოლოგიურ, ისტორიულ და დინამიურ ჭრილში. ექნება კომპარატისტული ლიტერატურის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა. შეეძლება ლიტერატურასა და არავერბალურ ხელოვნებას შორის, ლიტერატურასა და კინოს/თეატრს შორის არსებული ინტერმედიალური

ურთიერთობების დამყარება და ანალიზი; ექნება ფრანგულენოვანი ლიტერატურის ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა და შეეძლება პოეტური და ნარატიული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი; შეძლებს ფრანგულ ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზების მოძიებას და მშობლიური ლიტერატურის წვლილის შეფასებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

გარდა ამისა, სტუდენტს ექნება თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის თარგმნის სპეციფიკის ცოდნა; გამოუმუშავდება მთარგმნელობითი ტექნიკა და თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

**ესპანური ფილოლოგიის მოდული.** ესპანური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე ფილოლოგიის მაგისტრს ესპანური ფილოლოგიის სპეციალობით გააჩნია ფილოლოგიისა და კერძოდ, ესპანური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ფლობს სათანადო საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატს და დარგობრივ სფეროში მუშაობის უახლეს მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს ესპანური ფილოლოგიის დარგის მნიშვნელობა და ამოცანები, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; იცის ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების, თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების წესები. აქვს სხვადასხვა ტიპის ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თავისებურების ცოდნა; ესპანურენოვანი ლიტერატურის საკუთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; შეუძლია მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული, ესპანურენოვანი ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები და შეძლოს მათი წვლილის შეფასება დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში.

დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ესპანურ ენას) C1 დონეზე და, ფლობს რომელიმე ევროპულ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, რასაც იყენებს აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

**იტალიური ფილოლოგიის მოდული.** აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ სტუდენტი ეუფლება ღრმა ცოდნას იტალიური ფილოლოგიის სფეროში; “იტალიური დიალექტოლოგია” აცნობს იტალიური ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართებას, იტალიური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პროცესსა და ამ პროცესზე დიალექტების გავლენას; “იტალიური ფრაზეოლოგიის სემანტიკის საკითხები” - მაგისტრანტს აცნობს ფრაზეოლოგიის თეორიულ საფუძვლებს (ქართველი, რუსი, ამერიკელი და იტალიელი მეცნიერების კვლევების საფუძველზე) და იტალიური ენის ცოცხალ ფრაზეოლოგიურ კორპუსს; უყალიბებს იტალიურ-ქართული ტიპოლოგიური კვლევის უნარ-ჩვევებს; გავლილი მასალიდან გამომდინარე აცნობიერებს ძირითად პრობლემებს; ფლობს შესაბამის საენათმეცნიერო აპარატს; იცის არსებული თეორიები და შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება; სტუდენტი ეუფლება იტალიურ ენას C1 დონის შესაბამისად, ფლობს რომელიმე ევროპულ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე, რასაც იყენებს აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის; იტალიური ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში სტუდენტს გაცნობიერებული აქვს კონკრეტული მწერლის მნიშვნელობა და მისი ადგილი ზოგადად ლიტერატურის ისტორიაში; კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების

მხატვრულ-შემეცნებითი პრობლემები; სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების მოდელის ცოდნის საფუძველზე შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. აქვს XX საუკუნის იტალიური პროზისა და პოეზიის ღრმა და სისტემური ცოდნა, ლიტერატურული და კულტურული ატმოსფეროს ანალიზის საფუძველზე შეუძლია იტალიური პოეზიის ცვლილების დამადასტურებელი ახალი ნიშნებისა და პოეტური ინოვაციების დადგენა;

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია ზოგადად რომანული ფილოლოგიის და კერძოდ, ფრანგული, იტალიური, ესპანური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროებში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის საფუძველზე მაგისტრს აქვს ლინგვისტური და ლიტერატურული ფაქტების შეფასებისა და ანალიზის უნარი. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია ფრანგული/იტალიური/ესპანური და სხვა ევროპული ენების (ინგლისური/გერმანული/ფრანგული ან არჩევის შემთხვევაში ესპანური/იტალიური) პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი; პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

### **დასკვნის უნარი:**

პროგრამით და მასში შემავალი მოდულებით წარმოდგენილი დისციპლინები მაგისტრანტს გაულრმავეებს ტექსტის ორიგინალში აღქმის და ინტერპრეტაციის უნარს. უახლესი მასალების დამუშავება, სინთეზირება და არგუმენტაცია მას დაეხმარება საფუძვლიანი მეცნიერული დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში; მაგისტრს ჩამოუყალიბდება კრიტიკული აზროვნების უნარი, ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

### **კომუნიკაციის უნარი:**

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული, მეთოდოლოგიური და კომპარატიული კურსები და მასში ჩართული ენის ინტენსიური კურსი, რომელიც პრაქტიკული ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად არის მიმართული, მაგისტრანტს გაულრმავეებს მაპროფილებელ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარს. თავისუფლად შეძლებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტის თარგმანის საერთო პრობლემებზე მსჯელობასა და სათანადო

დასკვნების გამოტანას; თანამედროვე საკვლევ მიმართულებების სათანადოდ დამუშავებასა და პრეზენტაციას. უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარი მაგისტრს აქცევს სრულფასოვან პარტნიორად უცხოელ კოლეგებთან სამეცნიერო ურთიერთობების ფარგლებში.

**სწავლის უნარი:**

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის (რომელიც ფრანგული, იტალიური და ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების ლოგიკური გაგრძელებაა) ფარგლებში შეძენილი ცოდნა მაგისტრანტს დაეხმარება ახალი იდეებისა და ინიციატივების წარმოჩენაში. პროგრამის ბაზაზე მიმდინარე აქტიური სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი მას თეორიული იდეებისა და სამეცნიერო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების საშუალებას მისცემს.

მაგისტრს გაცნობიერებული აქვს ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

**ღირებულებები:**

ფრანგული, იტალიური და ესპანური ფილოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. კულტურული განსხვავებებისა და მრავალფეროვნების მიღება და აღქმა მაგისტრანტს განუვითარებს უცხო კულტურის ღირებულებათა პატივისცემის, ტოლერანტობის გრძნობას. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში კი ის ეჩვევა აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვას და პატივისცემას.

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების საგნობრივი რუკა

- ცოდნა და გაცნობიერება:

**ფრანგული ენათმეცნიერების მოდული**

1.1	ფრანგული ენის ზოგად-თეორიული ასპექტების ცოდნა; ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის პრინციპების სისტემური ანალიზი თანამედროვე ლინგვისტური თეორიების შესწავლა და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება.	<p><b>ფრანგულენოვანი ტექსტის ლინგვისტიკა</b> (სავალდებულო);</p> <p><b>ფრანგული ენის სემანტიკური თეორია</b> (სავალდებულო);</p> <p><b>ფრანგული ენის ფსიქოლინგვისტიკა</b> (სავალდებულო);</p> <p><b>ფრანგული ენის თეორიული ფონეტიკა-ფონოლოგია</b> (სავალდებულო)</p>
1.2	თანამედროვე პრესის საფუძველზე სხვადასხვა თემატიკის (პოლიტიკური, ეკონომიკა,	<b>ფრანგული ენა (იურიდიული ფრანგული)</b> (სავალდებულო);

	<p>კონფლიქტოლოგია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება) მყარი ლექსიკური შესიტყვებების და კონსტრუქციების ცოდნა და მათი სემანტიკური ანალიზი. თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის ცოდნა და შესაბამისი ტექსტების ანალიზის უნარი ენობრივი თვალსაზრისით.</p> <p>ბიზნესის გარემოსათვის დამახასიათებელი ადეკვატური და აუცილებელი ბიზნეს კლიშეების, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ტერმინოლოგიური ბაზის ცოდნა და მისი გამოყენება წერილობით თუ ვერბალურ ბიზნეს კომუნიკაციებში.</p> <p>ფრანგული ენიდან ქართულად და პირუკუ ბიზნეს პროექტების, კონტრაქტების თარგმნის აუცილებელი უნარ-ჩვევები.</p>	<p>ფრანგული ენა (ეკონომიკური ლექსიკა)(სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენა (ტურიზმის ენა)(სავალდებულო);</p> <p>თანმიმდევრული თარგმანი (არჩევითი);</p> <p>ტექსტის შედგენა და რედაქტირება (არჩევითი);</p>
1.3	<p>ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიებისა და პრინციპების სამეცნიერო კვლევის პროცესში სრულფასოვანი რეალიზაცია; კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება;</p>	<p>რომანულ ენათა სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენის ფსიქოლინგვისტიკა (სავალდებულო);</p> <p>ფრანგულენოვანი ტექსტის ლინგვისტიკა (სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენის სემანტიკური თეორია (სავალდებულო);</p> <p>რომანულ ენათა შედარებით ტიპოლოგია (სავალდებულო);</p>
1.4	<p>თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიები და პრინციპები, ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნის თავისებურებები;</p> <p>თარგმანის სპეციფიკის ცოდნა; მთარგმნელობითი ტექნიკის და თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; თანამედროვე ფრანგული ტექსტის ორიგინალში კითხვა-თარგმნა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევა.</p>	<p>რომანულ და ქართულ ენათა შედარებით ტიპოლოგია (სავალდებულო);</p> <p>ტექსტის შედგენა და რედაქტირება (არჩევითი);</p> <p>ფრანგული ენის ფსიქოლინგვისტიკა (სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენა (იურიდიული ფრანგული) (სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენა (ეკონომიკური ლექსიკა)(სავალდებულო);</p> <p>ფრანგული ენა (ტურიზმის ენა)(სავალდებულო);</p> <p>თანმიმდევრული თარგმანი (არჩევითი);</p>

1.5	<p>მენტალურ პროცესებზე დაყრდნობით ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის არსებული ურთიერთმიმართებების გაცნობიერება; სემანტიკური ანალიზის მნიშვნელობის გაცნობიერება;</p>	<p>რომანულ ენათა სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო);  ფრანგული ენის ფსიქოლინგვისტიკა (სავალდებულო);  ფრანგულენოვანი ტექსტის ლინგვისტიკა (სავალდებულო);</p> <p>რომანულ ენათა პრაგმატიკა და დისკურსი (არჩევითი);  პრაგმატიკა რომანულ ენათა კონტექსტში (არჩევითი);</p>
-----	---	---

**ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის მოდული**

1.1	<p>თანამედროვე კრიტიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით უახლესი მეთოდოლოგიური მიღწევების გაცნობა; ლიტერატურული ჟანრების, მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის და მრავალმხრივი მიდგომების შესწავლა; ჟანრების თეორიის ტიპოლოგიურ, ისტორიულ და დინამიურ ჭრილში განხილვა და გაანალიზება.</p>	<p>თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის კვლევის მეთოდები (სავალდებულო);  <b>ჟანრების თეორია</b> (სავალდებულო);  <b>რომანის პოეტიკა</b> (სავალდებულო)  თანამედროვე პოეზია, როგორც ენის ხელოვნება (არჩევითი)  ფრანგული პოეზიის ევოლუცია : ვერსიფიკაციიდან ვერლიბრამდე (ლამარტინი, ვინი, ჰიუგო, ბოდლერი) (არჩევითი )  ფრანგული პოეტური ტექსტის ანალიზი (გ.აპოლინერის “ალკოჰოლები”) ( არჩევითი)</p>
1.2	<p>კომპარატისტული ლიტერატურის განსაზღვრა; კომპარატისტული ლიტერატურის განსხვავება სხვა კომპარატისტული დისციპლინებისაგან; კომპარატისტული მუშაობისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შესწავლა; ლიტერატურასა და არავერბალურ ხელოვნებას შორის კავშირების კვლევა.</p>	<p>კომპარატისტული ლიტერატურა (სავალდებულო);  თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის კვლევის მეთოდები (სავალდებულო);  <b>ჟანრების თეორია</b> (სავალდებულო);</p>
1.3	<p>XX საუკუნის 50-იანი წლების ფრანგული თეატრის ტრაგი-კომიკური თემატიკის, ენისა და კომპოზიციის სტრუქტურული ანალიზი; ევროპულ და კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის არსებული ღრმა კავშირების დადგენა; რელიგიური თემატიკის მხატვრულ სამყაროში ტრანსპოზიციის საბაზისო პრინციპებისა და</p>	<p><b>დრამატული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი</b> (ბეკეტი, იონესკო) (სავალდებულო)  <b>სიურეალიზმი</b> (არჩევითი)  <b>ჟანრების თეორია</b> (სავალდებულო);  <b>ბიბლია და ლიტერატურა</b> (სავალდებულო)  კომპარატისტული ლიტერატურა</p>

	მეთოდების შესწავლა და ანალიზი.	(სავალდებულო);
1.4	თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის თარგმნის სპეციფიკის ცოდნა; მთარგმნელობითი ტექნიკის და თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; თარგმანის თეორიაში სამეცნიერო მუშაობის საფუძვლების შესწავლა; თანამედროვე ფრანგული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევა; პოეტური და ნარატიული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი.	თარგმანის ისტორია და კრიტიკა (სავალდებულო); თანამედროვე პოეზია, როგორც ენის ხელოვნება (არჩევითი) კომპარატისტული ლიტერატურა (სავალდებულო); ფრანგული პოეზიის ევოლუცია : ვერსიფიკაციიდან ვერლიბრამდე (ლამარტინი, ვინი, ჰიუგო, ბოდლერი)(არჩევითი)  პრუსტის სუბიექტური ეპოპეა (არჩევითი)
1.4	მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული და კულტურული ატმოსფეროს გაანალიზება, ფრანგული პოეზიის განვითარების ახალი გზებისა და პოეტური ინოვაციების შესწავლა; მოდერნიზმის ძირითადი პრობლემატიკის კვლევა.	თანამედროვე პოეზია, როგორც ენის ხელოვნება (არჩევითი) ფრანგული პოეზიის ევოლუცია : ვერსიფიკაციიდან ვერლიბრამდე (ლამარტინი, ვინი, ჰიუგო, ბოდლერი) (არჩევითი) კომპარატისტული ლიტერატურა (სავალდებულო); ფრანგული პოეტური ტექსტის ანალიზი (გ.აპოლინერის “ალკოჰოლები”) (არჩევითი) სიურეალიზმი (არჩევითი)
1.5	ლიტერატურული ტექსტის ფუნქციონალური თავისებურებების შესწავლა და ანალიზი; ფრანგული პოეტური ტექსტების ანალიზის დროს თემატური ტექსტობრივი კვლევის მეთოდის გამოყენება.	ფრანგული პოეტური ტექსტის ანალიზი (გ.აპოლინერის “ალკოჰოლები”) (არჩევითი) დრამატული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი (ბეკეტი, იონესკო) (სავალდებულო) კომპარატისტული ლიტერატურა (სავალდებულო); თანამედროვე პოეზია, როგორც ენის ხელოვნება ფრანგული პოეზიის ევოლუცია : ვერსიფიკაციიდან ვერლიბრამდე (ლამარტინი, ვინი, ჰიუგო, ბოდლერი) (არჩევითი)  რომანი და ფილოსოფია (სავალდებულო)

1.6	თანამედროვე კინემატოგრაფიას, თეატრსა და ლიტერატურას შორის არსებული ინტერმედიალური ურთიერთობების შესწავლა და ანალიზი.	კინო, თეატრი, ლიტერატურა (არჩევითი) კომპარატისტული ლიტერატურის ისტორია (სავალდებულო) თარგმანის ისტორია და კრიტიკა. (სავალდებულო)
-----	--	--

**ესპანური ფილოლოგიის მოდული**

1.1	<p>თანამედროვე ესპანური ენის ლინგვისტური პრობლემებისა და ენის თანამედროვე მდგომარეობა გაცნობა, მისი მდგომარეობის ზოგადი დახასიათება ენობრივი თავისებურებების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე (სემანტიკური, ლექსიკურ-გრამატიკული, სიტყვათმარეობის და სხვა); თანამედროვე ესპანური ენის ნაირსაეობების ცოდნა. ენის რეგისტრებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სახეების ცოდნა. თანამედროვე ესპანური ენის სისტემების კანონზომიერების განსაზღვრა და მისი განვითარების ტენდენციების წარმოჩენა; ლინგვისტური თვალსაწიერის გაფართოება და შემოქმედებითი ძიების უნარის გაღვივება სტუდენტების აზროვნებაში.</p> <p>ესპანურენოვანი სხვადასხვა ტიპის ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თავისებურების ცოდნა; საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა; დარგში არსებული ლინგვისტური ანალიზის თანამედროვე მეთოდების ცოდნა.</p> <p>ესპანური ენის ცოდნის C1 დონეზე, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს თავისუფლად, გამართულად და ფუნქციონალურად, ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა;</p>	<p>თანამედროვე ესპანური ენის თავისებურებები (სავალდებულო)</p> <p>ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა თანამედროვე მეთოდები (სავალდებულო)</p> <p>ესპანური ენის გაღრმავებული კურსი (DELE)</p>
1.2	<p>ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნა და განსხვავება;</p> <p>საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გაცნობა;</p>	<p>ესპანური ენის ლათინოამერიკული ვარიანტი.</p>

<p><b>1.3</b></p>	<p>ესპანურენოვანი ლიტერატურის საკუთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, ესპანურენოვანი ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზების მოძიების და მათი წვლილის დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში შეფასების უნარი.</p> <p>მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა ღრმა და სისიტემური ცოდნა და მის საფუძველზე პოეტურ ნიმუშთა ანალიზის უნარი.</p> <p>ესპანეთის მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურის და ზოგადად ხელოვნების მიმდინარეობების განხილვა. პოლიტიკისა და სოციალურ-კულტურული გარემოს გადამწყვეტი როლი ამ ეპოქის ლიტერატურის განვითარებაში. ესპანური და ლათინური ამერიკის ქვეყნების ავტორების ნაწარმოების გაცნობა და მათი დანიშნულების მიმოხილვა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში.</p> <p>ესპანური და ლათინური ამერიკის ქვეყნების ავტორების ნაწარმოების გაცნობა და მათი დანიშნულების მიმოხილვა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში.</p>	<p>“ოქროს ხანა” ესპანურ ლიტერატურაში</p> <p>ესპანურენოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიის განვითარება</p> <p>კოლონიალური ლიტერატურის « ბუმი»</p> <p>ავანგარდი, 27–იანელთა თაობა ესპანურ ლიტერატურაში</p>
	<p>მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.</p>	<p>უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1,2 (არჩევით)</p>

**მოდული: იტალიური ფილოლოგია**

<p><b>1.1</b></p>	<p>იტალიური დიალექტების გავრცელების არეალისა და მათი კლასიფიკაციის პრინციპების ცოდნა; იტალიური ლიტერატურული ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება დიაქრონულ ჭრილში.</p>	<p>იტალიური დიალექტოლოგია (სავალდებულო)</p>
-------------------	---	---

1.2	ფრაზეოლოგიის თეორიული საფუძვლების ცოდნა. იტალიური იდიომატური კორპუსის კვლევის მიმართულებები, მისი სემანტიკური ანალიზი. ქართული და იტალიური ფრაზეოლოგიის ტიპოლოგიური კვლევის საფუძვლები.	იტალიური ფრაზეოლოგიის სემანტიკის საკითხები (სავალდებულო)
1.3	<p>XX საუკუნის იტალიური პროზისა და პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებისა და შემოქმედების ცოდნა. პოეტურ ნიმუშთა თემატიკის ანალიზი და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა შესწავლა.</p> <p>XX საუკუნის იტალიური პროზის სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების მოდელის შესწავლა; ტექსტების ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, სტილისტურ თავისებურებებში გარკვევა . ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი.</p>	<p>სიურეალიზმი და რეალობა. იტალი კალვინოსა და დინო ბუცატის შემოქმედება (სავალდებულო)</p> <p>მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის იტალიური პოეზია (სავალდებულო)</p> <p>პირანდელოს შემოქმედების ძირითადი თემები. პირანდელოს ნიღბები (სავალდებულო)</p> <p>ომისა და დაბრუნების თემა ჩეზარე პავეზეს შემოქმედებაში (სავალდებულო)</p> <p>თანამედროვე იტალიური პროზა (არჩევითი)</p>
	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1,2 (არჩევით)

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

**ფრანგული ენათმეცნიერების მოდული**

